BSB00450, SEEDGUARD: “აგრო-თესლების მცველები ბიომრავალფეროვნების, აგრობიომრავალფეროვნების, ეკოსისტემური სერვისებისთვის და კლიმატის ადაპტაციისთვის"

მოდული 1. თემის თესლის კოლექციებისა (CSC) და თემის თესლის ბანკების (CSB) წარმოშობის, მიზნისა და კონცეფციების მიმოხილვა — ბოსტნეულის გენეტიკური რესურსების (PGR) დასაცავად

სურათი 1. 158 ინგრედიენტიანი სალათის ინგრედიენტების სია, 2017 წლის 18 სექტემბერი — სტივენ ბარსტოუ, EEA პროექტის ექსპერტი ბულგარეთში.

სარჩევი

შესავალი....3

წარმოების სისტემები და თესლის მიწოდება....9

თესლის მიწოდებისთვის საჭირო მასალის უზრუნველყოფა....10

თემის თესლის კოლექციებისა (CSC) და თემის თესლის ბანკების (CSB) საკვანძო ელემენტები....13

პირველი ორგანიზაცია....16

დამატებითი ინფორმაცია CSC-ებისა და CSB-ების კონტექსტის შესახებ....17

CSC-ებისა და CSB-ების ძირითადი დაბრკოლებები....20

სწავლება და ცოდნის გაზიარება....22

თემის თესლის ბანკების (CSB) კავშირი სურსათისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან (ITPGRFA)....24

ახალი კონცეფციები, რომლებიც ხელს უწყობს CSB-ებს....25

სასარგებლო განმარტებები:....26

შესავალი

ისტორიულად, კულტურები ყოველთვის ადაპტირდებოდა როგორც ბუნებრივ, ისე კულტურულ გარემოსთან, სადაც ადგილობრივი ჯიშების ფართო მრავალფეროვნება ქმნიდა მდიდარ ბიოკულტურულ მემკვიდრეობასა და აგრობიომრავალფეროვნებას. ეს პროცესი მნიშვნელოვნად დაირღვა ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად, რის შედეგადაც, ფერმერების მთავარ მიზანი გახდა წარმოების მაქსიმალური ზრდა.

ქვემოთ მოცემულ სურათზე ასახულია აგრობიომრავალფეროვნების საერთო მდგომარეობა:



სურათი 2. აგრობიომრავალფეროვნების შემცირება.

თანამედროვე სოფლის მეურნეობაზე დომინანტური ხედვის მიხედვით (მაგ., ნიდერლანდები და სხვ.), წარმოების სისტემები ისე უნდა იმართებოდეს, რომ მიღწეულ იქნას მოსავლიანობის მაქსიმალური რაოდენობა. ამ მიდგომამ ტრადიციულ და საოჯახო ფერმერებს უბიძგა, ადგილობრივი ჯიშების დიდი მრავალფეროვნება შეეცვალათ რამდენიმე კომერციული, ერთი შეხედვით „გაუმჯობესებული“ ჯიშით. ამ ჯიშების გავრცელება დღესაც თვალსაჩინოა ბაზრებზე (მაგალითად, მკვრივი, „ხისმაგვარი“ პომიდვრები, სქელი — თითქმის უჭმელი — კანის მქონე, გემოსა და არომატის გარეშე). შედეგად, ბოსტნეულის აგრობიომრავალფეროვნება შემცირდა.

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს 1903–1983 წლებში არსებულ მდგომარეობას, რომელიც, ჩვენი შეფასებით, დღეს კიდევ უფრო გაუარესებულია:



სურათი 3. ბოსტნეულის აგრობიომრავალფეროვნების ტენდენციები.

ქვეყნების უმეტესობაში, ზემოაღნიშნული კონვენციური მიდგომა, ინსტიტუციონალიზდა კანონმდებლობით, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ სერტიფიცირებული ჯიშების კომერციულ ბრუნვას (ანუ იმ ჯიშების, რომლებიც აღიარებულია კვლევითი ინსტიტუტებისა და სოფლის მეურნეობის უწყებების მიერ). ჯიშების რეგისტრაციისთვის ხშირად დგინდება მოთხოვნები სტაბილურობაზე, ერთგვაროვნებასა და ჰომოგენურობაზე. ამასთან, ფერმერებს ხშირად უწევთ მხოლოდ რეგისტრირებული ჯიშების მოყვანა, თუ სურთ ევროკავშირის ან სხვა

დაფინანსების წყაროებით სარგებლობა — რაც დამატებით ბარიერს ქმნის ტრადიციული (ადგილობრივი) ჯიშების გამოყენებისთვის

ხშირად სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს გლობალური თესლის მწარმოებლების ეკონომიკური ინტერესები (მაგ., Bayer, BASF და სხვ.). შედეგად, მკაცრად რეგულირებულ გარემოში ჩნდება წინააღმდეგობებიც: ერთი მხრივ, ადგილობრივი ჯიშები გენეტიკურად მრავალფეროვანი და გარემოს ცვალებადობისადმი გამძლეა; მეორე მხრივ კი — აგრობიომრავალფეროვანი წარმოებისთვის მათი მოპოვება რთულდება, რადგან კომერციული კომპანიები ძირითადად მხოლოდ თანამედროვე ჯიშებსა და ჰიბრიდებს ავრცელებენ.

ქვემოთ მოცემულ სურათზე ასახულია მცირე აგრომწარმოებლების მცდელობა, კულინარიის გზით ხელი შეუწყონ ადგილობრივი ბოსტნეულის ჯიშების პოპულარიზაციას:

სურათი 4. მცირე აგრომწარმოებლების ჯგუფი ბულგარეთში. წყარო: მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის ცენტრი.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

ზემოაღწერილ ვითარებაზე საზოგადოებამ და ადგილობრივმა თემებმა უკვე მოახდინეს რეაგირება. მომხმარებლები სულ უფრო ხშირად ითხოვენ ტრადიციული, ადგილობრივი ხილისა და ბოსტნეულის ხელმისაწვდომობას ყოველდღიურობაში, რადგან აღიარებენ მათ უკეთეს ხარისხსა და გემოვნურ უპირატესობას ინდუსტრიულად წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით.

საზოგადოება უფრო და უფრო მეტად საუბრობს ბიომრავალფეროვნების დაცვასა და კლიმატური გამოწვევების შემსუბუქებაზე, რაც ასევე დაკავშირებულია ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაციასთან — ისინი უკეთ ადაპტირდებიან გარემოსთან და როგორც წესი, ნაკლებად საჭიროებენ „ქიმიურ“ დამუშავებას ინდუსტრიულ ჯიშებთან შედარებით.

სწორედ ასე გაჩნდა სტიმული ტრადიციული ჯიშების მოსაყვანად საჭირო თესლების მოძიებისკენ.

სურათი 5. თესლის დათესვა. წყარო: გლობალური ბიომრავალფეროვნების მიმოხილვა 4 (2011–2020).

მცირე ფერმერები და მებაღეები სულ უფრო მეტად ეძებენ ადგილობრივი ძველი ჯიშების თესლს და მათ მოყვანაში ეკონომიკურ სარგებელსაც ხედავენ. აღნიშნულმა გამოიწვია ადგილობრივი ძველი ჯიშების თესლის შენარჩუნებისა და კონსერვაციის ინიციატივების გაძლიერება, რაც საბოლოოდ თემის თესლის კოლექციების (CSC) და თემის თესლის ბანკების (CSB) ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. მათი მისია გახდა თესლის შენარჩუნების პოპულარიზაცია და იმ ადგილობრივი ბოსტნეულის ჯიშების გამოყენების წახალისება, რომლებიც ტრადიციულ აგრარულ პრაქტიკებსა და ადგილობრივ კულტურას ეყრდნობა, ასევე — თესლზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. შედეგად, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი ჯიშების ბიოკულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში და ამცირებენ მხარდამჭერი პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი გარემოს დეფიციტით გამოწვეულ დანაკლისს — რაც თემის თესლის ბანკებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

სურათი 6;7. თესლის დამცველთა შეხვედრა. წყარო: მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის ცენტრი

წარმოების სისტემები და თესლის მიწოდება

მიუხედავად იმისა, რომ ბოსტნეულის ჯიშების შენარჩუნება და გამოყენება მცირე მეურნეობებსა და ბაღებში პირდაპირ არ უკავშირდება რომელიმე ერთ კონკრეტულ წარმოების სისტემას, ასეთი გენეტიკური რესურსები უფრო ხშირად გვხვდება საოჯახო ბაღებსა და მეურნეობებში, სადაც წარმოება მიზნად ისახავს თვითმომარაგებას ან ადგილობრივ ბაზრებს. ორგანული და სხვა არაკონვენციური ფერმერები ხშირად ამჯობინებენ უფრო ფართო

გენეტიკური ბაზის მქონე ჯიშებს — პირადი ხედვებიდან და აგრონომიული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. კონვენციურ მეურნეობაშიც შესაძლებელია მრავალფეროვნების შენარჩუნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბაზრის კონტექსტი ხელსაყრელია და არსებობს ლოკალურად წარმოებული ბოსტნეულისა და საკვები პროდუქტების „ნიშა“.

ფერმერების პირადი მოტივაცია

ფერმერთა მოტივაცია უკავშირდება ტრადიციის, რწმენის, პრეფერენციების, ეკონომიკური მდგომარეობის (ან კონკრეტულ ტერიტორიაზე ალტერნატიული გენეტიკური მასალის დეფიციტის) ერთობლიობას. მათი მოტივის ცოდნა მნიშვნელოვანია პოლიტიკის განვითარებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა მოხერხდეს ფერმერთა მოტივაციის შენარჩუნება და მათი წახალისება.

თესლის მიწოდებისთვის საჭირო მასალის უზრუნველყოფა

თესლსა და გამრავლებისთვის საჭირო მასალაზე ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებას ფერმერებისთვის. არსებული მრავალფეროვნების დაკვირვება და აღრიცხვა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს თაობიდან თაობისთვის მის უწყვეტ გადაცემაზე. თესლის რეგულარული გამოყენება, გაცვლა და/ან რეალიზაცია ხელს უწყობს აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ამ პროცესის ერთ-ერთი საკვანძო წინაპირობაა თესლის მიწოდების სტაბილური მექანიზმების არსებობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, მრავალფეროვნება გაქრობის რისკის ქვეშ დგება.

ბაზარზე დაკვირვება და ბაზრის მოთხოვნაზე შესაბამისი რეაგირება

ნიშური ბაზრების განვითარების სცენარების დასაგეგმად მარკეტინგული საქმიანობა უნდა გახდეს რეგულარული და სისტემური. ამ პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს ღირებულებათა ჯაჭვების ჩამოყალიბებას, რომლებშიც ჩაერთვებიან თემის ფერმერები, რეკლამის/კომუნიკაციის სპეციალისტები, ბლოგერები, სხვადასხვა ორგანიზაციები (მაგ., არასამთავრობო ორგანიზაციები) კომერციული სექტორი და სხვა დაინტერესებული მხარეები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომხმარებლებთან კომუნიკაციის საკითხს, გაზიარებული ტექსტები უნდა იყოს მიმზიდველი, ემოციურად დატვირთული და აზრობრივად გამართული, რათა გააჩინოს ინტერესი და მიიპყროს ფართო აუდიტორიის — და არა მხოლოდ პირდაპირი მომხმარებლების — ყურადღება. ამასთან, მნიშვნელოვანია თავიდან ავირიდოთ შაბლონური „მარკეტინგული“ ფრაზები (მაგ., „საუკეთესო საკვები“ და სხვ.) და ნაცვლად ამისა, შემოთავაზებული ბოსტნეულისა და საკვები პროდუქტების ღირებულება წარმოვაჩინოთ ემოციურ-კოგნიტური (ემოციურ-სემანტიკური) ფორმით, რაც მათი უნიკალურობისა და მნიშვნელობის გააზრებას შეუწყობს ხელს.

როგორ წარმოიშვა და განვითარდა თემის თესლის კოლექციები (CSC) და თემის თესლის ბანკები (CSB)?

CSC-ებისა და CSB-ების ისტორია სამხრეთ ნახევარსფეროში დაიწყო დაახლოებით 40 წელზე მეტი ხნის წინ, საერთაშორისო ინსტიტუტების (მაგ., FAO და BI) მხარდაჭერით. ბანგლადეშში, ბრაზილიაში, ეთიოპიაში, ინდოეთში, ნეპალში, ნიკარაგუაში, ფილიპინებსა და ზიმბაბვეში გამოცადეს ადგილობრივი („მემკვიდრეობითი“) თესლის შენარჩუნების სხვადასხვა ფორმატები. ამ ინიციატივებს განაპირობებდა მზარდი მოსახლეობისთვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა და იმ ჯიშების გადარჩენა, რომლებიც გაქრობის საფრთხის წინაშე იყო — რაც, საბოლოოდ, მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასაც ემსახურებოდა.

ჩრდილოეთ ნახევარსფეროში თესლის შენარჩუნება ძირითადად „თესლის დამცველთა“ ქსელების (seed-savers networks) ფორმით განვითარდა. მსგავსი ქსელები გასული საუკუნის 80-

იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ავსტრალიაში, კანადაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში, მოგვიანებით კი გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც.

ევროპაში თემის თესლის ბანკების რაოდენობა განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ბოლო 10–15 წლის განმავლობაში; 2017 წლისთვის გაჩნდა მინიმუმ 130 მსგავსი ინიციატივა.

გარდა ამისა, სკანდინავიის ქვეყნებსა და რამდენიმე სხვა სახელმწიფოში (მაგ., გაერთიანებულ სამეფოში და სხვ.) — აღინიშნება მკაფიო ტენდენცია კულტურათა ველური ნათესავების კვლევა-შესწავლის მიმართულებით. ეს მცენარეები განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი გენეტიკური რესურსი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ჯიშების გაუმჯობესებისთვის: დაავადებებისადმი გამძლეობის გასაზრდელად, ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად ან სხვა სასურველი თვისებების გასაძლიერებლად.



სურათი 8. სტივენ ბარსტოუ — მსოფლიოში ცნობილი ექსპერტი და წიგნის „მსოფლიოს გარშემო 80 მცენარე: საკვებად ვარგისი მრავალწლოვანი ბოსტნეულის თავგადასავალი ზომიერი კლიმატისთვის“ ავტორი — ბულგარეთში ვიზიტისას, სოფიის მახლობლად, ვიტოშას მთაზე, ბაღში აკვირდება მცენარის ველურ ნათესავს.

თემის თესლის კოლექციებისა (CSC) და თემის თესლის ბანკების (CSB) საკვანძო ელემენტები

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში თემის თესლის კოლექციების (CSC) და თემის თესლის ბანკების (CSB) ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა პრაქტიკაა დამკვიდრებული. განსხვავებები ძირითადად განპირობებულია იმ გარემო პირობებითა და კონტექსტით, სადაც ეს ინიციატივები იქმნება და ფუნქციონირებს.

შესაბამისად, ახალი თემის თესლის კოლექციების შექმნისას სხვა ქვეყნის პრაქტიკის ზუსტი გადმოტანა ეფექტიანი არ არის. რეკომენდებულია სხვადასხვა პრაქტიკის შესწავლა, შემდეგ კი საკუთარი კონცეფციის შემუშავება და მისი გამოცდა. აღნიშნულ პროცესში გამოვლენილი სირთულეები ან ჩავარდნები დაგეხმარებათ კონცეფციის დაზუსტებასა და ოპტიმიზაციაში.

მიუხედავად მრავალფეროვანი პრაქტიკისა, CSC-ებსა და CSB-ებს აქვთ საერთო მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მათი საკვანძო ელემენტები:

პირველი: CSC/CSB-ს უნდა ჰქონდეს გამოყოფილი სივრცე, რომელშიც მოხდება თესლის და/ან გამრავლების მასალის შეგროვება, დოკუმენტირება, შენახვა და კოლექციის გამდიდრება — კონსერვაციის, მოვლა-შენარჩუნებისა და თესლზე ხელმისაწვდომობის/გაზიარების უზრუნველსაყოფად. ეს ელემენტი ფუნდამენტურია ყველა CSC/CSB-ისთვის. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული სისტემა ცენტრალიზებულია (ცენტრალური ინსტიტუციის მიერ გამოყოფილია ერთი კონკრეტული სივრცე), ზოგ შემთხვევაში კი — დეცენტრალიზებული (თესლი ინახება თემის მიერ შერჩეულ სხვადასხვა სივრცეში).

მეორე: CSC/CSB-ების უმეტესობას ადგილობრივ დონეზე მართავენ თემის წევრები. ეს სტრუქტურები შეიძლება იყოს არაფორმალური, რეგისტრირებული ან კოოპერატივის ფორმით მოქმედი (მაგალითად, ბულგარეთში — „Versol“კომპანია, სვოგეს რაიონი). ხშირად ისინი არაკომერციულია, თუმცა, შეიძლება ჰქონდეს შემოსავლის მომტანი კომპონენტიც — მაგალითად, საჭიროებაზე მეტის (ჭარბი) თესლის რეალიზაცია. პრაქტიკაში კომერციული აქტივობები ხშირად ზრდის თესლის გამოყენებას და ამავდროულად ქმნის რესურსს პოპულარიზაციის ღონისძიებებისთვის (ფესტივალებში, ბაზრობებში მონაწილეობა და სხვ.).

მესამე: CSC/CSB-ის წევრებს აქვთ საერთო ღირებულებები და მიზნები და მოქმედებენ თავიანთი შემუშავებული წესებით; ამ გზით ისინი აყალიბებენ საკუთარ მოდელს, რომელიც ეფუძნება მათ კულტურასა და იდენტობას.

ევროკავშირის პროექტ Diversifood-ის ფარგლებში ევროპაში გამოიკვლიეს 85 თემის თესლის ბანკი (CSB). მათი ძირითადი მახასიათებლები შეჯამდა კითხვარის საფუძველზე, რომელმაც ევროპის ქვეყნების უმეტესობა მოიცვა. მიღებული შედეგების მიხედვით, CSB-ები მსგავსებებისა და ინიციატივების ხასიათის მიხედვით სამ ჯგუფად დაიყო.

იბერიის ჯგუფის (ესპანეთი და პორტუგალია) მახასიათებლები:

ევროპის ქვეყნებს შორის ესპანეთში თემის თესლის ბანკების (CSB) ყველაზე დიდი რაოდენობაა დაფიქსირებული (29). აღნიშნულ ჯგუფს ემატება ერთი CSB პორტუგალიიდან, რის შედეგადაც ჯგუფი ჯამურად 30 CSB-ს მოიცავს. ამ ინიციატივებს ახასიათებთ მოტივაციებისა და საქმიანობის მიმართულებების სპეციფიკა, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება სხვა ქვეყნების პრაქტიკისგან.

იბერიის ჯგუფში წარმოდგენილი CSB-ები ძირითადად ფერმერების მიერ არის დაფუძნებული. თუ საწყის ეტაპზე მათი მთავარი მიზანი კონსერვაცია/შენარჩუნება იყო, დღეს ძირითადი აქცენტი გადატანილია კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

იბერიის ჯგუფის უმთავრესი პრაქტიკული საქმიანობაა თესლის გამრავლება და თესლისა და გამრავლების მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ CSB-ებს აქვთ აქტიური ურთიერთკავშირი მებაღეებთან; მთავარი მიზანია კოლექციებში კულტურათა/ჯიშთა მრავალფეროვნების გაზრდა, რათა თესლი უფრო ფართო ჯგუფებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

კვლევაში ცალკე გამოიყო ცენტრალური ევროპის ქვეყნების ჯგუფი (საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი და ბელგია): თემის თესლის ბანკების რაოდენობით საფრანგეთი მეორე ადგილზეა ესპანეთის შემდეგ (17) და მოტივაციებისა და საქმიანობის თვალსაზრისით საერთო მახასიათებლებს იზიარებს იტალიასთან (4), ლუქსემბურგთან (2) და ბელგიასთან (1). ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ჯამში 24 CSB-ია აღრიცხული.

იბერიის ჯგუფის მსგავსად, აქაც დამფუძნებლები მეტწილად ადგილობრივი ფერმერები არიან. თავდაპირველად ჯგუფის ძირითადი მიზანი კონსერვაცია იყო, თუმცა, კიდევ უფრო

მნიშვნელოვანი მიმართულებები გახლდათ ჯიშების ადაპტაცია, შერჩევა/სელექცია (და/ან გამოყვანა) და თესლის წარმოება. დღეს კონსერვაციაზე შედარებით ნაკლებად მახვილდება ყურადღება, ძირითადი მიზანი— იბერიის ჯგუფის მსგავსად — ცნობიერების ამაღლებაა.

ცენტრალური ევროპის ჯგუფის ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ განათლებასა და ტრენინგებს, რომლებიც ხშირად მიმართულია კულტურათა გაუმჯობესებასა და მონაწილეობრივ სელექციაზე (participatory plant breeding). ამ ჯგუფში გაწევრიანებულ CSB-ებს აქვთ ყველაზე მჭიდრო კავშირი მწარმოებლებთან (ფერმერებთან და მებაღეობა-მებოსტნეობის სფეროს წარმომადგენლებთან). ასევე გამოირჩევიან სელექციონერებთან და მეცნიერებთან თანამშრომლობის ყველაზე მაღალი დონით, რაც მიზნად ისახავს თესლის მასალის გაუმჯობესებასა და განვითარებას. ამ ჯგუფში CSB-ებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არიან „მემკვიდრეობითი“ (heirloom) ჯიშების მოყვარული მებაღეები.

სხვა ევროპული ქვეყნების ჯგუფი ბევრი მახასიათებლით წააგავს ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის CSB-ებს. მასში შედის CSB-ები შემდეგი ქვეყნებიდან: ავსტრია (2), შვეიცარია (1), ჩეხეთი (2), გერმანია (7), დანია (1), ესტონეთი (2), დიდი ბრიტანეთი (2), საბერძნეთი (1), ხორვატია (1), უნგრეთი (1), ირლანდია (1), ლიხტენშტაინი (1), ნიდერლანდები (2), პორტუგალია (4) და შვედეთი (1) — ჯამში 31 CSB.

ამ ჯგუფის CSB-ების თავისებურებაა, რომ ისინი უმეტესად მებაღეების ან მათი ორგანიზაციების მიერ არის დაფუძნებული (და არა ფერმერთა ჯგუფების მიერ). კონსერვაცია ამ შემთხვევაშიც რჩება უმნიშვნელოვანეს მიზნად, თუმცა ძირითად საქმიანობებს შორის სახელდება ტრენინგები და თესლის გამრავლება.

ამ ჯგუფმა აჩვენა გარე დაინტერესებულ მხარეებთან (მაგალითად, გენბანკებთან და სხვ.) ურთიერთკავშირის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში CSB-ები ძირითადად თესლის კონსერვაციაზეა ორიენტირებული, ხოლო სხვა ქვეყნებში ისინი ფუნქციონირებენ როგორც თესლის კომერციული მწარმოებლები და რეალიზატორები.

პირველი ორგანიზაცია

ამ დრომდე თემის თესლის კოლექციებისა (CSC) და თემის თესლის ბანკების (CSB) როლი და წვლილი აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში, კლიმატის ცვლილების შერბილებასა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სათანადოდ და შესაბამისი მასშტაბით არ არის აღიარებული — მიუხედავად, მათი ხანგრძლივი ისტორიისა და გლობალურად თვალსაჩინო, გაზომვადი შედეგებისა.

საერთაშორისო დონეზე თემის თესლის ბანკების საკითხებზე ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ორგანიზაციად განიხილება Alliance Bioversity International–CIAT, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს შესაბამისი ხედვებისა და კონცეპტუალური მიდგომების ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში. ამასთან, მნიშვნელოვანია Earthscan-ის წვლილი, როგორც ავტორიტეტული საგამომცემლო პლატფორმისა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სფეროში არსებული კვლევების, ანალიტიკური ნაშრომებისა და კონცეპტუალური ჩარჩოების ხელმისაწვდომობას.

CSB-ების კონცეფცია ლიტერატურაში პირველად 1986 წელს ფიქსირდება. 1989 წელს ეთიოპიაში, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, დაიწყო პროგრამა „გადარჩენისთვის საჭირო აგროთესლები“ (Seeds of Survival, SoS). 1992 წელს ორგანიზაციამ „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონული ინიციატივები თემის გაძლიერებისთვის“(Southeast Asia Regional Initiatives for Community Empowerment, SEARICE) ფილიპინებში დააფუძნა არაკომერციული ორგანიზაცია — „თემზე დაფუძნებული ადგილობრივი თესლების კვლევითი ცენტრი“ (Community-based Native Seeds Research Centre, CONSERVE), რომლის მიზანი იყო თემის დონეზე კულტურათა გენეტიკური რესურსების კონსერვაცია და განვითარება. აღნიშნული საქმიანობა მოიცავდა რესურსების შეგროვებას, დაცვას/შენახვას, კვლევას, განვითარებასა და გამოყენებას ფერმერებთან პარტნიორობით.

ლათინურ ამერიკაში მსგავსი ინიციატივები დაახლოებით 1992 წლიდან განვითარდა: ჩილეში დაფუძნებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ Centro de Educación y Tecnología (CET) დაიწყო თემის თესლის ბანკების შექმნა ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში. ამავე პერიოდში მსგავსი პრაქტიკის დანერგვა დაიწყო ბრაზილიაშიც. სწორედ ეს რეგიონები ითვლება CSB-ების პირველი გამოჩენის ძირითად გეოგრაფიულ კერებად.

CSB-ების საწყის, ცენტრალურ მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თესლის გადარჩენა და გაცვლა — იმგვარად, რომ თესლი დარჩენილიყო თემის ფერმერების კოლექტიურ საკუთრებად. თუმცა CSB-ები განსხვავდება პრიორიტეტებით: ზოგიერთის ძირითადი აქცენტი კონსერვაციაზეა, სხვები კონსერვაციასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თესლზე ხელმისაწვდომობას, ხოლო ნაწილმა დამატებით პრიორიტეტად განსაზღვრა თესლისა და სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებაც.

დამატებითი ინფორმაცია CSC-ებისა და CSB-ების კონტექსტის შესახებ

CSC-ები და CSB-ები უმეტესწილად ნებაყოფლობით შექმნილი, არაფორმალური და თვითმმართველი ინსტიტუტებია, რომელთა ძირითადი ფუნქციაა თესლის შენარჩუნება ადგილობრივი გამოყენებისთვის. მათი განვითარება დაახლოებით 30 წლის წინ დაიწყო. ამგვარ ინიციატივებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, თუმცა, ყველაზე გავრცელებულია, თემის თესლის ბანკები.

CSC-ებისა და CSB-ების წევრები — მცირე ადგილობრივი ფერმერები და „მემკვიდრეობითი“ (heirloom) ჯიშების მოყვარული მებაღეები — ამრავლებენ ტრადიციულ კულტურებს, აგრეთვე დავიწყებულ ან შედარებით ნაკლებად გავრცელებულ სახეობებს. თესლის წარმოება/გამრავლება შეიძლება განხორციელდეს როგორც კონკრეტული აქცესიის მცირე რაოდენობით, ისე შედარებით დიდი მოცულობით (მაგ., სიმინდი, ხორბალი და სხვ.). CSC-ები მწარმოებლებისგან იღებენ თესლსა და გამრავლების მასალას, უზრუნველყოფენ მის დოკუმენტირებას, დაცვასა და ხარისხობრივ/რაოდენობრივ კონტროლს; ხელს უწყობენ ფერმერებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას; და ამავე დროს თანამშრომლობენ მკვლევრებთან, ოფიციალურ გენბანკებთან, კომერციულ აგრარულ სექტორთან, სახელმწიფო უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან — აგრობიომრავალფეროვნების ეფექტიანი კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად. შედეგად, CSC-ები და CSB-ები იქცა იმ პრაქტიკულ პლატფორმებად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ადგილობრივი კულტურებისა და ჯიშების თესლზე რეალური ხელმისაწვდომობა.

სურათი 9; 10. სამხრეთ-აღმოსავლეთ ბულგარეთში, სტრანჯას მთიანეთში მცხოვრები ფერმერთა ჯგუფი.

ფოტოზე ასახულია ფერმერთა ჯგუფი ბულგარეთში, სტრანჯას მთიანეთში, ხანდაზმულ ქალბატონთან გამართული შეხვედრის შემდეგ; ქალბატონი ათწლეულების განმავლობაში ინახავდა ბოსტნეულის თესლებს. შეხვედრაში მონაწილეობდა ასმუნდ ასდალი — მეცნიერი, რომელიც სვალბარდის თესლის საცავის (Svalbard Seed Vault) მართვის პროცესში იყო ჩართული. ხანდაზმული ქალბატონისგან მიღებული და წლების განმავლობაში შენახული თესლების დათესვის შედეგად დადასტურდა მათი სიცოცხლისუნარიანობა და დაფიქსირდა წარმატებული აღმოცენება. მარჯვენა ფოტოზე ასახულია სატყეო უწყების ღია ტიპის სანერგე, სადაც სტრანჯას მთისთვის უნიკალური Rhododendron ponticum-ის ნერგები მოჰყავთ.

როგორც წესი, CSC-ები და CSB-ები იმართება ადგილობრივი თემის ერთგული წარმომადგენლების მცირე ჯგუფის მიერ. ისინი საქმიანობენ ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესებიდან გამომდინარე და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით. რიგ შემთხვევებში, აღნიშნული სტრუქტურები აქტიურობენ საკუთარი ლოკაციის ფარგლებს გარეთაც და ზოგჯერ — ეროვნულ დონეზეც (მაგალითად, ნიდერლანდებში, კოსტა-რიკაში, ბრაზილიაში და სხვ.), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კერძო ან საჯარო სექტორი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი კულტურების მრავალფეროვნებასა და ადგილობრივ პირობებზე მორგებულ დასათეს მასალაზე ხელმისაწვდომობას.

CSC-ებისა და CSB-ების საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- სხვადასხვა აუდიტორიისთვის (მათ შორის ლოკაციის ფარგლებს გარეთ) ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელებას;

- ადგილობრივ სკოლებთან, ტრენინგ-ცენტრებსა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან თანამშრომლობას ცოდნის გავრცელებისთვის (მაგ., აგრობიომრავალფეროვნება, საკვები, ტრადიციები და კლიმატის ცვლილება, ადგილობრივი განვითარება და სხვ.);

- ტრადიციული ცოდნისა და ინფორმაციის დოკუმენტირებას — ფერმერებისა და მებაღეებისგან შეგროვებული ჯიშების შესახებ ადგილობრივი ისტორიებისა და ნარატივების აღრიცხვას/აღწერას პროფესიონალების მონაწილეობით (მაგ., აგრონომები, ეკოლოგები, ისტორიკოსები, ბიოლოგები და სხვ.);
- ადგილზე წარმოებისთვის (on-site farming) თესლის ადგილზე (on-site) შეგროვებას, წარმოებას, გავრცელებასა და გაცვლას;
- ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას რეგულარული შეხვედრების, შეკრებებისა და სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის გზით;
- აგრობიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიის პოპულარიზაციას ბაზრობებზე, ფესტივალებზე, გამოფენებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებზე;
- მონაწილეობრივ ექსპერიმენტებს კულტურათა გაუმჯობესების მიმართულებით, რომლებიც ადგილზე ორგანიზდება ადგილობრივი (მებაღეობის/მებოსტნეობის) კულტურების მწარმოებლებისა და ფერმერების მიერ;
- წევრების საქმიანობის დაფინანსებისთვის შემოსავლის გენერირებას ევროკავშირის დაფინანსებული პროექტების, სახელმწიფო ან კერძო წყაროების მეშვეობით;
- ქსელური თანამშრომლობისა და პოლიტიკის ინიციატივების განხორციელებას — პოლიტიკის შემმუშავებელ და გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებთან თანამშრომლობას (გარემოს დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვ.);
- თანამშრომლობას ეროვნულ კვლევით ცენტრებთან, გენეტიკურ ბანკებთან, თესლის კომერციულ სელექციონერებთან/გამომყვანებთან და თესლის რეალიზატორებთან.

CSC-ებისა და CSB-ების ძირითადი დაბრკოლებები

მცირე ფერმერებისთვის ტრადიციულ და ადგილობრივ ჯიშებზე წვდომა ოფიციალური თესლის/გენბანკებიდან ხშირად გართულებულია ბიუროკრატიული პროცედურების, ხარჯებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო. გენბანკების კოლექციებში დაცული მცენარეთა გენეტიკური რესურსების (PGR) მიღება, როგორც წესი, შეუძლებელია განსაზღვრული დოკუმენტური ეტაპების გარეშე. ამასთან, კონკრეტული ჯიშით დაინტერესებულ ფერმერებს ხშირად ვერ ეძლევათ საჭირო რაოდენობის თესლი. მაგალითად, ბულგარეთის გენბანკი კონკრეტული ჯიშის მოთხოვნისას ფერმერს შესაძლოა გადასცემდეს მხოლოდ 5 გრამ პომიდვრის ან წიწაკის თესლს. ასეთ პირობებში ოფიციალური წყაროებიდან ხელმისაწვდომი PGR კოლექციების პრაქტიკული გამოყენება ხშირად ვერ ხდება ეფექტიანად.

სკანდინავიის ქვეყნების გენბანკი **NordGen** ცდილობს ფერმერებთან უფრო მოქნილი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას და მათი საჭიროებების უფრო დროულად/ეფექტიანად დაკმაყოფილებას. იგი აზიარებს აქცესიების მორფოლოგიურ მონაცემებს და ფერმერებს უწევს კონსულტაციას კონკრეტული ჯიშის შესახებ. ასევე აფასებს ფერმერულ მეურნეობებში (on-farm) კონკრეტული მასალის პოტენციალს სხვადასხვა პირობებში. მსგავსი მიდგომებით მოქმედებენ სხვა ეროვნული გენბანკებიც.



სურათი 11. NordGen-ის კოლექციები.

სურათი 12. ღია ცის ქვეშ კონსერვაცია, ტესტირება და დოკუმენტირება.

გენბანკების/თესლის საცავების სპეციალისტები ფერმერებისა და სელექციონერებისთვის მცენარეთა გენეტიკურ რესურსებზე (PGR) ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ექვს ღონისძიებას გამოყოფენ იმ შემთხვევაში, როდესაც კულტურები უკვე შეტანილია ITPGRFA-ის (სურსათისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება) ფარგლებში მოქმედ საერთაშორისო მრავალმხრივ სისტემაში (MLS). აღნიშნული სისტემა წარმოადგენს მცენარეთა გენეტიკური რესურსების სურსათისა და სოფლის მეურნეობისთვის გლობალური გაცვლის ერთ-ერთ ყველაზე ფართო მექანიზმს:

1. **მკაფიო დოკუმენტაციის სისტემის უზრუნველყოფა** — MLS-ის კოლექციაში შემავალ მასალაზე (კულტურებზე) აგრონომიული და სხვა კომერციული მახასიათებლების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომი ენითა და ფორმატით წარმოდგენა;
2. **თესლის პირდაპირი მოთხოვნის ონლაინ სისტემის დანერგვა** — ფერმერებისთვის საკონტაქტო მონაცემების მითითებით, რათა შეკითხვების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს კომუნიკაცია;
3. **ფერმერების აქტიური მხარდაჭერა** სტანდარტული მასალის გადაცემის შეთანხმების, მოლაპარაკებისა და გაფორმების პროცესში;
4. **მარტივი და გამჭვირვალე გადახდის მექანიზმების დანერგვა,** რომლებიც დაფარავს გენბანკის მიერ მასალის განახლების/რეგენერაციის ხარჯებს და ამავე დროს დარჩება ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ფერმერებისა და სელექციონერებისთვის;
5. **ბეჭდური კატალოგების გავრცელება**, რომლებშიც თავმოყრილი იქნება ყველაზე პერსპექტიული მასალები და შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია ფერმერებისა და შესაბამისი ორგანიზაციებისთვის;
6. **ფერმერებთან ერთად ადგილზე (on-farm) ჩატარებული შეფასების კვლევების რაოდენობის ზრდა.** ასეთი კვლევები ფერმერებს აძლევს შესაძლებლობას, გენბანკებში არსებული და ხელმისაწვდომი თესლის მასალისა და შესაბამისი ინფორმაციის გამოყენებით, გააფართოონ კულტურების გენეტიკური ბაზა. კვლევები აჩვენებს, რომ ეს მიდგომა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, როგორც ინდივიდუალური ფერმერებისთვის, ისე იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მეურნეობების დივერსიფიკაციას კლიმატურ და/ან ეკონომიკურ შოკებზე გამძლეობის გასაზრდელად განიხილავენ. ამასთან, მონაწილეობრივი შეფასებისა და სელექციის პროგრამების განვითარება ხელს უწყობს კულტურათა ჯიშების უფრო ეფექტიან მართვას.

სწავლება და ცოდნის გაზიარება

CSC-ებისა და CSB-ების ფორმატები ხელს უწყობს ფერმერებზე დაფუძნებულ ექსპერიმენტირებასა და თანატოლთა შორის სწავლებას (peer learning), მას შემდეგ, რაც ფერმერებს შესაბამისი ჯიშების თესლზე წვდომა აქვთ და მას საკუთარ მეურნეობებში იყენებენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მექანიზმია იმ ფერმერებისთვის, რომლებიც ახალი ბაზრების მოთხოვნებზე ორიენტაციით ცდიან ახალ ჯიშებს, წარმოების ზრდისა და ადაპტაციის შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

ამავე დროს, CSC-ები და CSB-ები შეიძლება გახდეს მხარდაჭერის პლატფორმა იმ მწარმოებლებისთვისაც, რომლებმაც ნაწილობრივ დაკარგეს ეკოსისტემის მდგრადობასთან დაკავშირებული პრაქტიკული ცოდნა და მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული მეურნეობის მართვის გამოცდილება. CSC-ები და CSB-ები წარმოადგენს სივრცეს, სადაც ხდება ფერმერებს შორის ცოდნის სისტემური გაცვლა, რათა მცენარეთა გენეტიკური რესურსები (PGR) გამოყენებულ იქნეს მიზნობრივად და ეფექტიანად. ცოდნის გაზიარება განსაკუთრებით შედეგიანია მაშინ, როდესაც ინოვაციური მცირე მეურნეობების ფერმერები ერთიანდებიან,

ერთობლივად ატარებენ ცდებს ახალ ჯიშებზე, ახორციელებენ მათ გამრავლებასა და სელექციურ გაუმჯობესებას.

სწავლებისა და ფერმერებზე დაფუძნებული ექსპერიმენტირების პროცესის კოორდინაცია, როგორც წესი, CSC-ებს ეკისრება. მეცნიერების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა მხარდამჭერი სუბიექტების ჩართულობა კი შეიძლება იქცეს დამატებით რესურსად, რომელიც ხელს უწყობს უფრო გამძლე და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო თემების ჩამოყალიბებას.

სურათი 13. კულტივირებული ბოსტნეულის ველური ნათესავების შესწავლის (აღმოჩენა-დაკვირვების) მიზნით განხორციელებული საველე გასეირნება.

სურათი 14. და სურათი 15. ვახშამზე წარმოდგენილი სალათი საკვებად ვარგისი ველური მცენარეებისგან.

თემის თესლის ბანკების (CSB) კავშირი სურსათისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან (ITPGRFA)

ბიომრავალფეროვნების კონვენცია (CBD) და სურსათისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება (ITPGRFA) წარმოადგენს მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების სფეროში მთავარ საერთაშორისო დოკუმენტებს. ITPGRFA აღნიშნულ მიზნებს პირდაპირ აკავშირებს ფერმერთა უფლებებთან, მათ შორის — გენეტიკურ რესურსებზე წვდომის უფლებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერთა უფლებები საერთაშორისო დონეზე ინტენსიურად განიხილება, მათი ეფექტიანი დანერგვა ეროვნულ დონეზე კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. თემის თესლის ბანკები ფერმერთა უფლებების პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, მათ მიმართ სამეცნიერო ლიტერატურასა და პოლიტიკის სივრცეში ყურადღება შედარებით შეზღუდულია. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე არსებული კვლევები აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება შეივსოს აღნიშნული ხარვეზი. ზემოხსენებულ საკითხს დამატებით დავუბრუნდებით ერთ-ერთ მომდევნო მიმოხილვაში.

ახალი კონცეფციები, რომლებიც ხელს უწყობს CSB-ებს– **food and CSB-ებისა და CSC-ების ხელშემწყობ ახალ კონცეფციებად განიხილება გასტრონომიული ტურიზმი და რეგენერაციული ტურიზმი — როგორც პოპულარიზაციის პერსპექტივები და როგორც ბოსტნეულისა და ლანდრასების გამოყენების გაზრდის შესაძლო**

რეგენერაციული ტურიზმი შედარებით ახალი ფენომენია, რომელიც განისაზღვრება როგორც მოგზაურობისა და ახალი დანიშნულებების აღმოჩენის პრაქტიკა, რომელიც სცდება მდგრადი ტურიზმის ჩარჩოებს.

როგორ შეიძლება CSC-ებმა/CSB-ებმა და ამ მოძრაობამ სარგებელი მიიღოს რეგენერაციული ტურიზმის განვითარებიდან? პასუხები შეიძლება გამოიკვეთოს ქვემოთ წარმოდგენილი კონტექსტიდან.

რეგენერაციული ტურიზმის ძირითადი პრინციპები

რეგენერაციული ტურიზმი ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

- ეს არის ახალი დანიშნულებების აღმოჩენისა და მოგზაურობის პრაქტიკა, რომელიც მდგრადი ტურიზმის პრინციპებს ეყრდნობა;
- მისი მიზანია მოგზაურების შთაგონება, რათა მათ გადადგან ნაბიჯები უკეთესი გარემოსა და ადგილობრივი ველური ბუნებისთვის უკეთესი ჰაბიტატის შესაქმნელად.
- მარკ ტრუიოლსის (09.2023) მიხედვით, ტრადიციული ტურიზმი, როგორც წესი, არ მოიცავს რეგენერაციულ პრაქტიკებს; მაშინ როცა რეგენერაციული ტურიზმი მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკის, საზოგადოების, კულტურისა და ბუნებრივი გარემოს მრავალ ასპექტს.

რეგენერაციული ტურიზმი ეფუძნება ტრადიციულ ტურიზმს და ამატებს დამატებით პრინციპებს, მაგალითად:

- ტურიზმი მიმდინარეობს კონკრეტულ ეკოსისტემაში, სადაც ადამიანები — როგორც ტურისტული საქმიანობის მთავარი აქტორები — თანდათან უნდა იქცნენ ბუნების „მცველებადაც“;

- აღიარებულია, რომ ტურიზმი როგორც ინდუსტრია პასუხისმგებელია ისეთი პირობების შექმნაზე, რომ „ადგილი“და „ხალხი“ ერთდროულად ყვაოდეს; აქ დამატებით შედეგებად განიხილება არა მხოლოდ შემოსავალი, არამედ კეთილდღეობა, კულტურული კეთილდღეობა, ლანდშაფტის მთლიანობა და ადგილობრივი მოსახლეობის ემოციური კავშირი საკუთარ სივრცესთან;
- რეგენერაციული ტურიზმის მთავარი აგენტია მასპინძელი თემი — ეს მიდგომა თემებს აძლევს შესაძლებლობას, გახდნენ ადგილობრივი ეკოსისტემების მეურვეები.

დასკვნა

რეგენერაციული ტურიზმი წარმოადგენს სისტემას, რომელიც თანაარსებობს „რეგენერაციულ პარადიგმასთან“და ქმნის პირობებს თემებისა და ეკოსისტემების განვითარების, განახლებისა და აღდგენისათვის. იგი ბუნებასთან ჰარმონიაში ფუნქციონირებს და შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სულიერი და ეკოლოგიური განვითარება.

რეგენერაციული ტურიზმის კონცეფცია თანხვედრაშია CSC-ებისა და CSB-ების იდეასთან და მისი ინტეგრირება აღნიშნული ინიციატივების პრაქტიკაში მრავალ სარგებელს შეიძლება მოიცავდეს. მკვლევრები გამოყოფენ შემდეგ შედეგებს:

- ეკოსისტემების უფრო მაღალი გამძლეობა/მდგრადობა;
- დანიშნულებების ადგილის გრძელვადიანი მიმზიდველობა და „სარგებლობა“ ტურისტებისთვის;
- განსხვავებული აქტივობა მოგზაურობისას;
- ტურიზმის მიმართ ადგილობრივი მხარდაჭერის ზრდა;
- ადგილობრივი თემების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;
- ბიოკულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

სასარგებლო განმარტებები:

CSC-ები და CSB-ები (ზოგადი განმარტება):
თემის თესლის კოლექციები (CSC) და თემის თესლის ბანკები (CSB) არის ადგილობრივად მართული და ადმინისტრირებული, კოლექტიური ადგილობრივი მოქმედების ინსტიტუტები, რომელთა ძირითადი ფუნქციაა თესლის შენარჩუნება თემის წევრების მიერ ადგილობრივი გამოყენებისთვის.

CSC-ის განმარტება მიმდინარე პროექტის მიზნებისთვის:
CSC არის ადგილობრივი, ნებაყოფლობითი, არაფორმალური და თვითმმართველი ინსტიტუტი, რომლის ბირთვული ფუნქციაა ბოსტნეულის კულტურების ადგილობრივი და ფერმერებისთვის სასურველი თესლის — ტრადიციული ადგილობრივი ჯიშებისა და ლანდრასების — შეგროვება, შენახვა/დაცვა, კონსერვაცია და გაცვლა, მდგრადი აგრობიომრავალფეროვნების, სასურსათო უსაფრთხოების და კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზემოქმედების შერბილების მიზნით.

გენბანკები (Genetic/Gene banks):
გენბანკი წარმოადგენს ბიორეპოზიტორიუმის ტიპს, რომლის დანიშნულებაა ორგანიზმთა გენეტიკური ინფორმაციის შენარჩუნება. გენბანკები ხშირად გამოიყენება იმ სახეობების გენეტიკური მასალის შესანახად, რომლებიც გადაშენების საფრთხის წინაშე დგანან ან მის ზღვარზე არიან. ისინი წარმოადგენს გენეტიკური მასალის **ex situ** (გარეთ, „ადგილის მიღმა“) კოლექციას, რომელიც ინახება გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და/ან ხელმისაწვდომობის გასამარტივებლად. გენბანკები, როგორც წესი, ეროვნულ დონეზე ორგანიზდება კონკრეტული ქვეყნის გენეტიკური რესურსების დასაცავად.

CSC-ები და CSB-ები **არ** წარმოადგენს გენბანკების ნაწილს. ამასთან, გენბანკები თანამშრომლობენ CSC/CSB-ებთან, ხოლო CSC-ები და CSB-ები გენბანკებისგან იღებენ სამეცნიერო მხარდაჭერას.

PGR (Plant Genetic Resources):
მცენარეთა გენეტიკური რესურსებია მცენარეთა გენეტიკური მასალა, რომელიც წარმოადგენს ღირებულ რესურსს ადამიანთა როგორც დღევანდელი, ისე მომავალი თაობებისთვის.

Interreg Co-funded by the European Union
NEXT Black Sea Basin
SeedGuard

დოკუმენტი მომზადებულია წამყვანი პარტნიორის —UBBSLA-ს მიერ, პროექტის **BSB00450 SEEDGUARD** ფარგლებში.
ამ მასალის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი. მასალის შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას. მასალის გავრცელება ნებადართულია წყაროს სავალდებულო მითითებით და ნებისმიერი ცვლილების აღნიშნვით.